პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 250 (9091)
31 დეკემბერი,
შაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

გუშინ საქართველოს
კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში
რესპუბლიკის ახალგაზრდობის
წარმომადგენლებს შეხვდა და ესაუბრა
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური
კომიტეტის
პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი.

შემართება და შენება ახალგაზრდობის დევიზია

საბჭოეთის ახალგაზრდა თაობა ბედნიერია. მისი აღზრდა, ჩამოყალიბება მუდამ იყო და არის პარტიის ყურადღების ცენტრში, პარტია მას უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს. ასეთი ყურადღება გამომდინარეობს იმ როლიდან, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო აკისრებს ახალგაზრდობას ახალი საზოგადოების შენებაში.

სოციოლოგთა პროგნოზებით, 2000 წლისათვის ჩვენს პლანეტაზე იქნება მილიარდზე მეტი ახალგაზრდა. მათ მოუწევთ გადაჭრან კაცობრიობის ყველაზე შთამბეჭდავი პრობლემები. საბჭოთა ახალგაზრდობა, ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, იქნება მის წინაშე დასახული ამოცანების სიმაღლეზე. ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა: „ჩვენ უკეთ ვიბრძვით, ვიდრე ჩვენი მამები, ჩვენი შვილები კი იბრძოლებენ უფრო კარგად და გაიმარჯვებენ კიდეც". გაიმარჯვებენ, რადგან ეყრდნობიან წინა თაობათა გამოცდილებას, თავიანთ მამა-პაპათა გამოცდილებას. ამიტომაც საჭიროა, რათა ისინი, ვინც დღეს სკოლის მერხზე ან სტუდენტურ აუდიტორიაში ზის, ემზადებოდნენ დიადი მიღწევებისათვის — იწრთობოდნენ უწინარეს ყოვლისა სულიერად, ითვისებდნენ მაღალ ჰუმანისტურ, ზნეობრივ ღირებულებებს, რომლებიც ჩვენს საზოგადოებრივ წყობილებაშია.

1985 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ახალგაზრდობის საერთაშორისო წლად. 1986 წელი კი მშვიდობის საერთაშორისო წელი იქნება. და ღრმა აზრი ჰქონდა იმას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯ. ი. პატიაშვილთან რესპუბლიკის ახალგაზრდობის ტრადიციულ საახალწლო შეხვედრაზე ძირითადად შეჯამდა ახალგაზრდობის საქმიანობა მომავალ წელს და დაისახა მომავალი წლის მიზნები მშვიდობის, პროგრესისა და ბედნიერებისათვის, ჩვენი რესპუბლიკის, ქვეყნისა და მსოფლიოს მომავლისათვის.

შეხვედრა რომ გახსნა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. გ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, თუ რა მუშაობას ეწევა საქართველოს კომკავშირი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, ილაპარაკა ამოცანებზე, რომლებიც მის წინაშე დგას.

საქართველოს კომკავშირის სახელოვან საქმეებს, რომლებითაც იგი ეგებება სკკპ XXVII ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, შეხვედრაზე შეეხნენ საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი, თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირი მ. გ. გაჩეჩილაძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, წითელწყაროს რაიონის სამთაწყაროს საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ბ. ბ. გონაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თ. გ. ჯალიაშვილი, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი, ლენინური სტიპენდიატი კ. გ. დემეტრაშვილი, ახალგაზრდა პედაგოგთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის თანამშრომელი, ზ. დ. აბაშიძე, ახალგაზრდა მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში 20 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი ქ. რ. არახამია, თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ვ. ფეტვიაშვილი. მჭევრმეტყველი და შთამბეჭდავი იყო ეს ნაამბობი. საქართველოს კომკავშირი შეფობს 17 რესპუბლიკურ დამკვრელურ მშენებლობას. მარტო წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში კომკავშირული საგზურებით მივიდა 600 ქალიშვილი და ჭაბუკი. ქუთაისის ავტოქარხანაში კი 250 კაცი. უკანასკნელი წლების მანძილზე სოფლის ახალგაზრდობამ აითვისა 7.800 ჰექტარი ნაკლებნაყოფიერი და წინათ გამოუყენებელი მიწები. სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში შეიქმნა დაახლოებით 50 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, მეცხოველეობაში მოვიდა სამი ათასამდე კომკავშირელი. კომკავშირელებმა, ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. დღეს რესპუბლიკაში ხორციელდება ორასამდე კომკავშირულ-ახალგაზრდული ხელშეკრულება სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. დაინერგა ოთხი ათასი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რასაც ექვს მილიონ მანეთისაზე მეტი ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა.

მეთორმეტე ხუთწლედი ქვეყნის წინაშე კიდევ უფრო რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს სახავს. ქვეყანა, რესპუბლიკა მომავალ ხუთწლედში ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალ მიჯნებს მიაღწევს. მათი დაძლევა ხელეწიფებათ მარჯვე, ვაჟკაც, შეუპოვარ და მტკიცე ახალგაზრდებს.

მოზარდი თაობისათვის ამ თვისებების ჩანერგვის საჭიროების, ახალგაზრდობის ამოცანების შესახებ ილაპარაკა შეხვედრაზე გამოსულმა ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, თუ რაოდენ მაღალია რესპუბლიკის ახალგაზრდა მოქალაქეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა, რომელიც ერთხელ კიდევ გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის, სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს. ჩვენი წინსვლის დაჩქარებისათვის გამიზნული ათობით, ასობით პატრიოტული თაოსნობა იშვა ამ დღეებში ახალგაზრდულ შრომით კოლექტივებში.

რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციისათვის სამოქმედო პროგრამა გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-19-ე პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომელმაც ყოველმხრივ გააანალიზა და განაზოგადა რესპუბლიკის კომპარტიის მუშაობის გამოცდილება კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გადიდების საქმეში.

შეგეძლოს ოცნებო და მიზანსწრაფულად იბრძოლო ოცნების ხორცშესხმისათვის, თქვა ჯ. ი. პატიაშვილმა, მიზნად ისახავდე შემოქმედებით ძიებას, იყო იქ, სადაც წყდება ახალგაზრდობის საჭირბოროტო პრობლემები, თავი დააღწიო ფორმალიზმს — აი რა მოეთხოვება დღეს ყოველ კომკავშირელს, ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს. ყოველი მათი დღე აღსავსე უნდა იყოს საქმით, კონკრეტული, მნიშვნელოვანი საქმით, რაც იქნება წვლილი იმ შენობის მშენებლობაში, რომელსაც ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით ვაგებთ. მაგრამ კომკავშირელებისათვის არ კმარა თავად ჩინებულად შრომობდნენ, მათი ვალია წინ მიუძღოდნენ მთელ ახალგაზრდობას. აქ განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდობის მეთაურთა როლი, მნიშვნელოვანია მათი ავტორიტეტი.

ახალგაზრდობას სჩვევია ხელს ჰკიდებდეს დიდ საქმეებს, ოცნებობდეს ყოველივე დიადზე, სწორედ კომკავშირული ხელმძღვანელები უნდა ისწრაფვოდნენ, რომ ეს მიზნები არ უნდა იყოს მოწყვეტილი რეალობას, რომ ისინი ამკვიდრებდნენ სოციალისტურ პრინციპებსა და ნორმებს, რომ ახალი თაობა იზრდებოდეს მაღალი მორალის, შეგნების, მოქალაქეობრიობის სულისკვეთებით.

თქვენ ხედავთ, თქვა შემდეგ ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა, როცა მიმართა ახალგაზრდობას, თუ რა გადამწყვეტ, უკომპრომისო ბრძოლას ეწევა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, მართლწესრიგის შემდგომი გაძლიერებისათვის, კანონიერებისა და სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმების დაცვისათვის, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენისა და წარსულის გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის, დღეს ამ ბრძოლამ დაიწყო თვისებრივად ახალი ფაზა და ჩვენი დღევანდელი მოთხოვნაა გავზარდოთ კომკავშირელთა პასუხისმგებლობა თავიანთი ორგანიზაციის, პარტიის წინაშე.

რესპუბლიკის კომკავშირელებს ამ მიმართულებით მუშაობის დიდი გამოცდილება აქვთ ტრადიციული გახდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების ორთვიურები. ეს გამოცდილება უნდა გავამდიდროთ, შევავსოთ დღეისათვის აქტუალური შინაარსით.

ყოველმა კომკავშირულმა აქტივისტმა უნდა იზრუნოს თავისი ორგანიზაციის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, იგი კი მკვიდრდება ადამიანებისადმი ყურადღებით, ცალკეულ ადამიანთან კონკრეტული მუშაობით. საქმისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად დავაღწიოთ თავი მუშაობაში ფორმალიზმს, უსარგებლო ქაღალდთმთხზველობას.

კარს მომდგარი 1986 წელი განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ეს არის სკკპ XXVII ყრილობის წელი. ყრილობა განსაზღვრავს მეთორმეტე ხუთწლედის ამოცანებს. და მათ განხორციელებაში, ისევე როგორც ყოველთვის, ჩვენს პარტიას ახალგაზრდობის იმედი აქვს. უფროს თაობათა გმირულ ტრადიციებზე აღზრდილ ახალგაზრდობას არ აკლია არც შემართება, არც სულის მგზნებარება, არც გმირულ საქმეთა განხორციელების უნარი, ეს თვისებები უნდა გადაიქცეს მიზანმიმართულ სოციალურ აქტიურობად, რათა ამ აქტიურობას შედეგად მოჰყვეს კეთილსინდისიერი, ეფექტიანი შრომა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

ჩვენი მთავარი საზრუნავია მშვიდობისათვის ბრძოლა. მშვიდობის შენარჩუნება კი შესაძლებელია მხოლოდ საერთო მეცადინეობით, თითოეულის დამკვრელური შრომით თავის სამუშაო ადგილზე. ეს კარგად უნდა შეიგნოს ჩვენმა ახალგაზრდობამ. დღეს მუშაობაში მთავარია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების კურსი. ამ კურსის განხორციელება უნდა დაიწყოს სკოლასა და ტექნიკურ წრეში, უმაღლეს სასწავლებელსა და წარმოებაში. ყოველი ახალგაზრდა უნდა ვაზიაროთ დამოუკიდებელ კვლევით მუშაობას, მეცნიერულ-ტექნიკურ შემოქმედებას.

ახალგაზრდობას უნდა შევუქმნათ ყველა პირობა მჩქეფარე შემოქმედებითი მუშაობისათვის, მეტად ვიზრუნოთ მისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. მთელ ქვეყანაში ვრცელდება სვერდლოვსკის კომკავშირული ორგანიზაციის გამოცდილება, რომელმაც შექმნა ახალგაზრდული საბინაო კოოპერატივები. ეს გამოცდილება უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ჩვენს რესპუბლიკაში. სერიოზულ გაუმჯობესებას მოითხოვს ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაცია. აქ საიმედო მოკავშირეებად უნდა გავიხადოთ ფიზკულტურა და სპორტი. ჩვენი ახალგაზრდობა უნდა იყოს ჯანსაღი, ჰარმონიულად განვითარებული.

ჩვენი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა აღზრდილია საუკეთესო საბჭოთა ტრადიციებით. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის მცირე ნაწილი, რომლის ცხოვრების წესი საყოველთაო გაკიცხვას იმსახურებს. ესენი არიან ახალგაზრდები, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ცუდად სწავლობენ, ცუდად მუშაობენ, ზოგჯერ კი უმსგავსო საქციელით არცხვენენ რესპუბლიკას. კომკავშირულ ორგანიზაციებს მართებთ ნიადაგ გულმოდგინედ იმუშაონ ამ კატეგორიის ახალგაზრდობასთან, განუხრელად იზრუნონ იმათთვის, ვისაც ჯერ არ განუსაზღვრავს თავისი ცხოვრებისეული პოზიცია. რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციას აქვს ამ მიმართულებით მუშაობის გამოცდილება. მაგრამ აქ ვერ ვივლით გატკეპნილი გზით, აქ ყოველი შემთხვევა განსაკუთრებულია და უნდა მივაღწიოთ მტკიცე გარდატეხას მუქთახორების, გამცდენების, ზარმაცების წინააღმდეგ ბრძოლაში, შევქმნათ კონტროლის, იმათი გამოვლენისა და აღზრდის ერთიანი, ქმედითი სისტემა. ვინც თავს არიდებს თავის პირდაპირ მოვალეობას. საჭიროა, რომ ყოველმა ახალგაზრდამ მტკიცედ აითვისოს — სწორედ იგია უშუალო მონაწილე იმ მნიშვნელოვანი გარდაქმნებისა, რომლებიც ახლა ხდება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, მის სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში. კომკავშირული ორგანიზაციების მთავარი ამოცანაა დაეხმაროს თითოეულს იპოვოს თავისი კონკრეტული ადგილი საზოგადოების ცხოვრებაში.

ახალგაზრდობასთან დიალოგი ყოველთვის იყო რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დამახასიათებელი ნიშანი, თანასწორთა დიალოგი. მაშასადამე, მოთხოვნებსაც ვუყენებთ, როგორც თანამოსანგრეებს. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიპოვებენ კომკავშირელები, მათი წინამძღოლები ახალგაზრდობის სიყვარულსა და პატივისცემას, მაქსიმალურ წვლილს შეიტანენ რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში, თუ იტრიალებენ მის შუაგულში, ეცოდინებათ მისი საზრუნავი და პრობლემები.

დასასრულ ამხანაგმა ჯ. ი. პატიაშვილმა გულთბილად მიულოცა რესპუბლიკის კომკავშირელებს, ახალგაზრდობას ახალი წელი, უსურვა საქართველოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ჯანმრთელობა, ბედნიერება, ახალი წარმატებები სწავლაში, სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო შემოქმედებით შრომაში.

შეხვედრას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ვ. ი. ალავიძე.

(საქინფორმი)

ელვა-ინფორმაცია

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ივანოვოდან, სადაც დამთავრდა საბჭოთა კავშირის 1985 წლის თასის გათამაშება კრივში. 60 კგ. წონითი კატეგორიის ათლეტთა შეჯიბრებაში თავი ისახელა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, ფოთელმა იური სავოჩკინმა, რომელმაც საკავშირო თასი და გამარჯვებულის ოქროს მედალი მოიპოვა.

III ადგილები წილად ხვდათ და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ თბილისელი კონსტანტინე კოტოიანი (71 კგ) და ქუთაისელი ანზორ ჯიმშელეიშვილი (+91).

აღსანიშნავია, რომ ხალხთა მომავალ სპარტაკიადაში მონაწილეობის კანდიდატებით მხოლოდ საქართველოს გუნდი იყო დაკომპლექტებული (მხოლოდ გევორქ შუშანიანი გახლდათ „ასაკგადაცილებული"). საქმე ისაა, რომ გაისად სპარტაკიადაში მონაწილეთა ასაკი მკაცრად განისაზღვრება — გამოვლენ 1963 წელს დაბადებულნი და მათზე უმცროსნი. ივანოვოში კი ამჯერად ჭაბუკთა გარდა, ყველა ასაკის მოკრივე ასპარეზობდა.

დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში გიამბობთ.

ლვოვი. აქ დამთავრებულ იუნიორ ველოსიპედისტთა საკავშირო პირველობაში (ტრეკი) წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა — გუნდურ ჩათვლაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. რესპუბლიკის ღირსებას ამ ტურნირში ოლიმპიური მომზადების ცენტრის „ივერიის" ველოსიპედისტები ვლადიმერ აბრამიშვილი („დინამო"), ვიაჩესლავ ქარუმიძე, მიხეილ ჩევარდოვი (ორივე — მე-19 საშუალო სკოლა, „დინამო"), ალექსანდრე ხვეტნიკოვი (129-ე სკოლა, „განთიადი") და ვასილ დავიდენკო (108-ე სკოლა, „სპარტაკი") იცავდნენ.

* * *

„ოლიმპიური იმედის" პრიზზე

რიგაში გაიმართა ჭაბუკ „კლასიკოსთა" საკავშირო ტურნირი „ოლიმპიური იმედის" პრიზზე. შეჯიბრებაში 12 რესპუბლიკის 320 მოჭიდავე მონაწილეობდა. 71 კგ წონაში უძლიერესი იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ქართლოს კოზაევი („ლოკომოტივი"), რომელმაც შვიდივე შეხვედრა წმინდად მოიგო. პირველი ადგილი დაიკავა აგრეთვე ბურევესტნიკელმა მამუკა გაჩეჩილაძემ (76 კგ). ხოლო მძიმე წონაში მეორე იყო მახარაძელი ვეფხია ანთიძე.

ვაჟა გოგიაშვილი.

* * *

მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით

როგორც ადრე გაცნობეთ, თბილისის სპორტულ ბაზებზე ჩატარდა მე-40 საქალაქო პარტიული კონფერენციისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები. ზეიმის კულმინაციური ნაწილი სპორტის სასახლეში გაიმართა. აქ მოეწყო ღია კარის დღე, რომელშიც თბილისის ყველა რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ზეიმის მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებშიც სწორედ რაიონების გუნდები იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, რომელიც, უნდა ითქვას, უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა, მთავარი ყურადღება მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას დაეთმო. ამ თემას მიუძღვნა თავისი გამოსვლა ფიზიკური კულტურის ახლადშექმნილი სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა, მწერალმა გურამ ფანჯიკიძემ.

გულშემატკივრის კუთხე

ინტერვიუ, რომელიც 15 წლის წინ დაიწყო ნიუ-იორკში



წინასაახალწლო ინტერვიუზე ვფიქრობდი. მაინც ვისთან — ვინ აჯობებდა ყოფილიყო რედაქციის სტუმარი, ახალი წლის მეკვლე?

ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ბორჯომიდან რეკავდნენ. ჩვენი კოლეგები იყვნენ ადგილობრივი გაზეთიდან, გვითხრეს, მელორ სტურუა ისვენებს ჩვენთან, სანატორიუმ „ლიკანში“!

რედაქციის დავალებით მეორე დღესვე ბორჯომში გავჩნდი.

გაზეთისათვის უკეთეს „მეკვლეს“ ვერც ვინატრებდი: მელორ სტურუა — ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტი, გაზეთ „იზვესტიის“ საერთაშორისო მიმომხილველი, მრავალი ნარკვევის, სტატიის, წიგნის ავტორი...

გარეგნულად კალათბურთელს ჰგავს — მოქნილი, ხმელ-ხმელი, ტანმაღალი... თუმცა, რატომ ჰგავს, იყო კიდეც კალათბურთელი.

მისი ნარკვევის ერთ-ერთი გმირის, სახელგანთქმული მძიმეწონოსანი მოკრივის, ჩემპიონთა ჩემპიონის, „ბროქტონის ფუგასურ ბომბად“ წოდებული, როკი მარჩიანოსი არ იყოს, ინტერვიუერთან „რინგზე“ შეხვედრა არ მაშინებდა, ვინაიდან «მელორ სტურუა თვითონ ჟურნალისტია და საუბარიც, ცხადია, არ უნდა გაძნელებულიყო.

ბატონ მელორს პირველად არ ვხვდებოდი.

...1970 წლის ზაფხული. მექსიკაში ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ქართველმა ჟურნალისტებმა მიხეილ კაკაბაძემ, კოტე მახარაძემ, გიგლა ფირცხალავამ და მე — მელორ სტურუა ვინახულეთ ნიუ-იორკში, გაზეთ „იზვესტიის“ საკორესპონდენტო პუნქტში, ბროდვეიზე. ბევრი ვისაუბრეთ მაშინ. ბოლოს ინტერვიუც წამოვიწყე, რამდენიმე შეკითხვა მივეცი გულთბილ მასპინძელს, მაგრამ დრო აღარ ითმენდა — ბოლო დღე იყო, სამშობლოში მოგვეჩქარებოდა. შევთანხმდით, რომ ინტერვიუს სხვა დროს გავაგრძელებდით...

და აი, თხუთმეტი წლის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს. ბატონი მელორი ახლა 57 წლის კაცია, ჭაღარა მორევია.

—ბორჯომში ბავშვობის შემდეგ აღარ ვყოფილვარ. და აი ახლა გავიხსენე ის შორეული რომანტიკით აღსავსე წლები, შეხვედრები, ხალხი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს არის რაღაც საოცარი „მოგზაურობა ბავშვობაში“ — ამბობს იგი.

⊙ **კალმოსანს უკალმოდ აბა რა მოასვენებს. ალბათ ბორჯომშიც წაიმუშავეთ...**

— ცხადია. დავწერე შესავალი ჩემი მომავალი წიგნისათვის დასავლეთის კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთა შესახებ. ეს იქნება სქელტანიანი ნაშრომი, მოგონებები იმათზე, ვისაც პირადად შევხვედრივარ, კერძოდ ჩარლი ჩაპლინზე, გრეტა გარბოზე, ვივიენ ლიზე, მერილინ მონროზე, სოფი ლორენზე, მარჩელო მასტროიანიზე, რიჩარდ ბარტონზე, ფედერიკო ფელინიზე, ლუკინო ვისკონტიზე...

⊙ **ისიც ვიცით, რომ პრეზიდენტებსა და პრემიერ-მინისტრებსაც შეხვედრიხართ პირადად.**

— დაწყებული დუაიტ ეიზენჰაუერიდან, ამერიკის შეერთებული შტატების ყველა პრეზიდენტისაგან ამიღია ინტერვიუ: ჯონ კენედისგან და ლინდონ ჯონსონისგან, რიჩარდ ნიქსონისგან და ჯერალდ ფორდისგან, ჯიმი კარტერისა და რონალდ რეიგანისგან... ახლა დიდი ბრიტანეთის პრემიერებიც გავიხსენოთ — ჰაროლდ ვილსონი, ჰაროლდ მაკ-მილანი, ანტონი იდენი (თუმცა ეს უკანასკნელი იმ დროს პრემიერ-მინისტრი უკვე აღარ იყო).

⊙ **მათზეც ხომ არ აპირებთ წიგნის დაწერას?**

—ვნახოთ, მომავალში სურვილი კი მაქვს. მინდა დავწერო მოგონებები ჩემს მასწავლებლებზეც, სკოლის ამხანაგებზე. მე მართლაც ბედმა გამიღიმა: კარგი პედაგოგები და ამხანაგები მყავდა. ჩემი მასწავლებლები იყვნენ ცნობილი საბავშვო პოეტი ილია სიხარულიძე (კლასის დამრიგებელი, ქართულ ენას გვასწავლიდა), ჯაჯუ ჯორჯიკია (ფიზიკის მასწავლებელი), ნინო ვარდიაშვილი (ქიმიას გვასწავლიდა), არჩილ ბაქრაძე და შოთა [illegible] (ფიზკულტურის მასწავლებლები). ჩემთან ერთად სწავლობდნენ ცნობილი მომღერლები ზურაბ ანჯაფარიძე, ნოდარ ანდღულაძე და თამარ თაქთაქიშვილი, აკადემიკოსი ფიზიოლოგი როლანდ ხანანაშვილი...

⊙ **თქვენ არჩილ ბაქრაძე ახსენეთ, ქართული სპორტის დიდი მოჭირნახულე...**

— დიახ, სწორედ მან შემაყვარა სპორტი. მან და დავით ციმაკურიძემ. მე და დავით ციმაკურიძე დიდი მეგობრები ვიყავით. მოგეხსენებათ, იგი პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონია. ჩვენს სკოლაში სწავლობდა, ჩემზე ერთი კლასით წინ. ბატონმა არჩილმა ორივეს შეგვაყვარა ტანვარჯიში. მერე თვით გიორგი ეგნატაშვილი გვავარჯიშებდა ბესიკის ქუჩაზე მდებარე სპორტულ დარბაზში, სადაც იმხანად საქართველოს ნაკრებიც ემზადებოდა. აქ ვარჯიშობდნენ უბადლო ტანმოვარჯიშეები გულო რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, ნიკოლოზ თაყაიშვილი. ჯორჯაძეც გვეხმარებოდა ახალგაზრდებს, მაგრამ მე და ჩემმა ძმამ ლევიმ (იგი სამი წლით უმცროსია ჩემზე) მაინც „ვულალატეთ“ ტანვარჯიშს. ორივე საკმაოდ მაღალი ტანისანი ვიყავით და კალათბურთი ვარჩიეთ — მწვრთნელ ალექსანდრე ელენსკისთან დავიწყეთ ვარჯიში პიონერთა სასახლეში. ელენსკი დიდი ავტორიტეტი გახლდათ — სნაიპერული სიზუსტით ისროდა ბურთებს კალათში. მაგრამ ჩვენი ნამდვილი კერპები იყვნენ ოთარ ქორქია, ნოდარ ჯორჯიკია და გივი ახვლედიანი, რომელიც შემდგომში უბადლო ფრენბურთელი და მწვრთნელი გახდა.

⊙ **რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად „კალათბურთელის“ კარიერიდან?**

— თუ სერიოზულად შევხედავთ საქმეს, ცხადია, ჩვენი სკოლის გუნდის გამარჯვება თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონატში, „სახუმარო ჟანრიდან“ კი — შეხვედრა ოფიცერთა სახლის ფრენბურთელ... ქალთა გუნდთან. ეს მატჩი ზაფხულში გაიმართა შავი ზღვის სანაპიროზე, მწვანე კონცხზე. ქალებმა გვაჯობეს — 2:1. თავი არ გამოგვეყოფოდა გარეთ. ნუგეშად ისღა გვრჩებოდა, რომ რამდენიმე დღის წინ ამ გუნდს საქართველოს ჩემპიონობა ჰქონდა მოპოვებული.

⊙ **ახლა კი გასაგებია, ასე რატომ გიყვართ სპორტი. „იზვესტიაში“, „ნედელიაში“, „სოვეტსკი სპორტში“, სხვადასხვა კრებულებში ხშირად წაგვიკითხავს თქვენი ნარკვევები სპორტზე, ცნობილ სპორტსმენებზე — ტყავის ხელთათმნის დიდოსტატებზე მუჰამედ ალიზე, როკი მარჩიანოზე და ჯორჯ ფორმენზე, უშიშარ მრბოლელ დონალდ კემპბელზე, ინგლისის დერბის ჩემპიონებზე, ფეხბურთის ჯადოქარ სტენლი მეტიუზზე. თქვენ ორი წიგნი დაწერეთ ცნობილ სპორტულ ჟურნალისტთან ბორის ფედოსოვთან ერთად — „ფეხბურთის ალბიონი“ (მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატზე), რომელიც ქართულადაც გამოიცა, და „თამაშები, რომლებიც თამაშებისკენ გვიხმობენ...“**

—სპორტი მართლაც ძალიან მიყვარს. საერთოდ, ჩემი აზრით, თუ სერიოზულად აპირებ ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების, მისი ხალხის, ბუნების, სულის შესწავლას, რათა შემდგომ მკითხველს გააცნო იგი, აუცილებელია ისტორიასთან, კულტურასთან, ზნე-ჩვეულებებთან, პოლიტიკურ მრწამსთან ერთად გულდასმით გაეცნო მის სპორტსა და სპორტსმენებსაც. სპორტში კარგად ჩანს ერის თვისებები, მისი სახე. ამიტომაც ვაფასებ სპორტულ ჟურნალისტიკას და სპორტულ ჟურნალისტებს. ძალიან მომწონს ჩემი ძველი კოლეგის ლევ ფილატოვის სტატიები ფეხბურთზე — მუდამ ობიექტური, ანალიტიკური, საინტერესო, საგნის ღრმა ცოდნით დაწერილი. დიდი მეგობრობა მაკავშირებდა შესანიშნავ ქართველ ჟურნალისტთან, „ლელოს“ პირველ რედაქტორ მიშა კაკაბაძესთან. ხშირად ვხვდებოდი მას თბილისში, მოსკოვში, საზღვარგარეთ. მშობლიურ ქალაქში ჩამოსული „ლელოში“ ვიწვევდი ხოლმე, — მაშინ რედაქცია ელბაქიძის დაღმართზე რომ იყო. თქვენს გაზეთს ახლაც სიამოვნებით ვკითხულობ.

⊙ **რა აზრის ბრძანდებით საერთოდ სპორტულ ჟურნალისტიკაზე?**

— სპორტული ჟურნალისტიკა უდავოდ ერთ-ერთ პოპულარულ დარგად იქცა მთელ მსოფლიოში. სხვათა შორის მაღალგანვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში (ამერიკაში, ინგლისში) პრესაში სპორტს საკმაოდ დიდ ადგილს უთმობენ. მკითხველს ხშირად სთავაზობენ საინტერესო ნარკვევებსა და ჩანახატებს სპორტსმენებზე, განვლილ შეჯიბრებათა კვალიფიციურ სპორტულ ანგარიშებს, აწვდიან დაწვრილებით ტექნიკურ ინფორმაციასაც. წარმოიდგინეთ, რომ რეპორტიორი (კალათბურთზე იქნება ეს, კრივზე თუ ბეისბოლზე) რედაქციას დაუყოვნებლივ გადასცემს პირველი ტაიმისა თუ პირველი რაუნდის ამბებს, რაშიც მას ხელს უწყობს ტექნიკური აღჭურვილობაც (ტელეფონი, ტელექსი, ტელეტაიპი). ისე კი, თავბრუდამხვევ სიჩქარეში დაშვებულ შეცდომას მაინცდამაინც არ აქცევენ ყურადღებას. საერთოდ, საგაზეთო შეცდომისათვის საროტაციო მანქანას არც გააჩერებენ, გაზეთს ერთი წუთითაც არ დააგვიანებენ. რაც შეეხება შეცდომას, მას დილის გამოშვებაში ასწორებენ. ისიც მინდა გითხრათ, რომ ინგლისსა და ამერიკაში განსაკუთრებით აფასებენ სპორტულ ჟურნალისტებს, რომლებიც წერენ უშუალოდ განცდილზე, პირადად იცნობენ სპორტსმენს, პირველწყაროდან იღებენ მასალას. ასეთ მიმომხილველებს სპორტული ჟურნალისტიკის ელიტას მიაკუთვნებენ. როგორც წესი, ისინი მხოლოდ ორ-სამ სახეობაზე წერენ, რათა მასალა ზერელე, ზედაპირული არ გამოვიდეს.

⊙ **ხშირად ესწრებოდით სპორტულ შეჯიბრებებს?**

— ინგლისსა და ამერიკაში მუშაობის პერიოდში დავესწარი თითქმის ყველა დიდ სპორტულ ასპარეზობას: ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს, ინგლისისა და ფიფა-ს ნაკრები გუნდების დაუვიწყარ მატჩს, პროფესიონალ მძიმეწონოსან მოკრივეთა შეხვედრებს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელისათვის (ალი — ფრეზიერი და ფორმენი — ჰოლმსი), ვიყავი ლეიკ-პლესიდის ზამთრის ოლიმპიადაზე, რეგულარულად ვესწრებოდი დერბის, ბეისბოლს, ჩოგბურთს (აშშ-ის პირველობებსა და უიმბლდონის ტურნირებს), ამერიკულ ფეხბურთს, რომელსაც, წარმოიდგინეთ, ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავს.

⊙ **საინტერესოა, რატომ ვერ გავრცელდა ევროპული ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში? აქ ფეხბურთის პოპულარიზაციისათვის საგანგებოდ შექმნეს ვარსკვლავების გუნდი „კოსმოსი“, პელეც მიიწვიეს, ბეკენბაუერიც, ტყავის ბურთის სხვა დიდოსტატებიც.**

— ჩემი აზრით, მიზეზი ორია: ჯერ ერთი, ამერიკელებს უყვართ ემოციები, განსაკუთრებით სპორტში. ამერიკულ ფეხბურთში კი მძაფრ ემოციებს, ძალისმიერ თამაშს არ ერიდებიან. ამიტომ იქაურ მაყურებელს არ უყვარს, როცა ჩვენს ფეხბურთში წესების მცირე დარღვევა იწვევს ჯარიმას და, აქედან გამომდინარე, ბრძოლის შეწყვეტას; მეორე — ამერიკული სპორტი, პირველ ყოვლისა, ვარსკვლავების, უფრო ზუსტად, საკუთარი ვარსკვლავების სპორტია. ფეხბურთში კი ჯერჯერობით ასეთი ვარსკვლავები არა ჰყავთ. მიუხედავად ამისა, ფეხბურთი ამ ქვეყანაში ნელ-ნელა მაინც ვრცელდება.

⊙ **რომელ დიდ სპორტსმენებს შეხვედრიხართ პირადად და ვინ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

— საკმაოდ ბევრს; ალბათ, პირველ ყოვლისა — ლეგენდარულმა მოკრივეებმა ჯეკ დემპსიმ და მაქს შმელინგმა. დემპსი მეტად უშუალო, თავმდაბალი ადამიანია. სამოცდაათი წლის მოკრივეს ნიუ-იორკში ბროდვეიზე ჰქონდა რესტორანი, რომელსაც აგრეთვე „დემპსი“ ეწოდა. ჯეკის ცოლი რუსია და მშობლიური ენა საკმაოდ კარგად იცის. მახსოვს, დემპსის შევეკითხე, მოკრივესათვის მთავარი რა არის-მეთქი. მან მიპასუხა — მუცლის პრესით. თუ მუცელში დარტყმას ვერ გაუძლებ, მაშინ რინგი უნდა მიატოვოო. გულწრფელი მოსაუბრე იყო მაქს შმელინგიც, რომელზეც თავის დროზე ვინ იცის, რას არ წერდნენ საქმეში ჩაუხედავი რეპორტიორები. ერთხელ შემომჩივლა: მუდამ პატივს ვცემდი და მიყვარდა კიდეც ჩემი „დაუძინებელი“ მეტოქე ჯო ლუისიო, ერთმანეთში კარგი დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ რეაქციულმა პრესამ რატომღაც მტრებად მოგვნათლა და მთელ მსოფლიოს მოსდო ეს ამბავიო.

⊙ **თქვენ, რა თქმა უნდა, ჩვენს სპორტსმენებს შორისაც ბევრი ნაცნობი და მეგობარი გეყოლებათ?**

— მოსკოვში, ჯერ კიდევ ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, დავუმეგობრდი ბრწყინვალე ქართველ ფალავნებს არსენ მეკოკიშვილსა და კონსტანტ[illegible] ცნობილ წყალბურთელს კაკო მშვენიერაძეს. გულწრფელი მეგობრობა მაკავშირებდა ბორის პაიჭაძესთან, მიშა ბერძენიშვილთან, გაიოზ და სპარტაკ ჯეჯელავებთან, ანდრო ნავასარდოვთან, გივი კარტოზიასთან... როცა ჩვენმა მოჭიდავეებმა ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვეს, მთელმა გუნდმა მწვრთნელ ვასო ილურიძის მეთაურობით ჩემს ოჯახში აღნიშნა ეს სასიხარულო გამარჯვება.

⊙ **რაც შეეხება ფეხბურთს, ცხადია, თბილისის „დინამოს“ ქომაგი ბრძანდებით.**

— არც მოსკოვში, არც თბილისში ადრე ჩვენი ბიჭების არც ერთი თამაში არ გამიცდენია. გული მწყდება, რომ დღევანდელი „დინამო“ უწინდელს აღარ ჰგავს. საქმე მარტო მოგება-წაგება არ არის, არამედ — თვითონ თამაში, თამაშის კლასი. წინათ ჩვენი „დინამო“ მეტწილად აგებდა მოსკოვის დინამოელებთან, მაგრამ მისი თამაშით მაინც კმაყოფილი ვიყავით. თავის დროზე ძალიან მომწონდა ცდკა-ს დიდი გუნდიც — ამ გუნდში თამაშობდნენ ტყავის ბურთის ნამდვილი ჯადოქრები ფედოტოვი და ბობროვი. მხიბლავდა პონომარიოვისა და გომესის „ტორპედოს“ ცალკეული მატჩები. მოსკოვისა და თბილისის „დინამოსთან“ ერთად ეს გუნდები იმხანად მართლა დაუვიწყარ საფეხბურთო სპექტაკლებს დგამდნენ. ბოლო წლებში უპირატესობას კიევის „დინამოს“ ვანიჭებ. ეს გუნდი თანამედროვე, ევროპული სტანდარტების ფეხბურთს თამაშობს, ამიტომ იგებს დამაჯერებლად ჩემპიონატის ოქროს მედლებსაც და თასსაც.

⊙ **თუ თქვენი სპორტული კოსტიუმისა და ფეხსაცმლის მიხედვით ვიმსჯელებთ. ახლა დილის ვარჯიშს მაინც უნდა მისდევდეთ...**

— სადაც უნდა ვიყო, ყოველდღიურად ვვარჯიშობ 30-40 წუთს. მოსკოვში განტელებითა და ესპანდერით ვვარჯიშობ, აქ კი არ წამომიღია და ვნანობ კიდეც. გარდა ამისა, როგორც წესი, ყოველდღე 10-12 კილომეტრს ვფარავ სწრაფი სიარულით. რა ვიცი, თავს მშვენივრად ვგრძნობ...

⊙ **თუ უხერხული არ იქნება, ერთი ასეთი შეკითხვაც მინდა მოგცეთ: როგორც მითხრეს, ახალგაზრდობისას მაინცდამაინც „გამხდარი“ არ ყოფილხართ...**

— შეგიძლიათ არ გააგრძელოთ, თვითონ გეტყვით: ზუსტად 100 კილოს ვიწონიდი. გიკვირთ ასეთი „მეტამორფოზა“? ერთბაშად 26 კილოგრამი დავიკელი! ამას მკაცრი დიეტით, უმოწყალო რეჟიმითა და ენერგიული ვარჯიშით მივაღწიე. ბოლოს და ბოლოს, მე ხომ „კალათბურთელი“ ვარ...

⊙ **ახალი წლის წინ რას უსურვებდით ჩვენ ხალხს?**

— დაე, არასოდეს მოშლოდეს ახალი წლის მადლი და სითბო, ქართული სპორტის ნაძვის ხეც მუდამ დახუნძლული ყოფილიყოს სპორტული თასებითა და ელვარე მედლებით, კეთილი ყოფილიყოს ახალი წელი, ძვირფასო მეგობრებო!

ესაუბრა **ოთარ ნოწყაძე.**

ნუგზარ ქარელის ფოტო.

საქართველოს სპორტკომიტეტში

პრინციპული შეფასება

პრინციპულ და გულახდილ საუბარში, მაგრამ მკაცრი მომთხოვნელობის ფონზე, ყველაფერი ნათლად გამოიკვეთა, თავისი სახელი დაერქვა ყველაფერსაც, რამაც ქუთაისის ტორპედოელთა გარშემო წლევანდელ საფეხბურთო სეზონში, განსაკუთრებით ჩემპიონატის ფინიშზე, მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სწორედ ამიტომ სპორტკომიტეტის კოლეგიამ საჭიროდ სცნო ემსჯელა რესპუბლიკის მეორე გუნდის ბედ-იღბალზე. კოლეგიამ ღრმად გააანალიზა ის მიზეზები, რაც მოარული ხმებისა და დასკვნების საბაბი გახდა.

იყო თუ არა ქუთაისის „ტორპედო“ ის გუნდი, რომელსაც შეეძლო თამამად შეენარჩუნებინა ადგილი უმაღლეს ლიგაში? ამ საკითხზე თვით საზოგადოებრივი აზრია განსხვავებული და კოლეგიამაც გვერდი არ აუარა მას. სად, თუ არა კოლეგიის სხდომაზე, უნდა გარკვეულიყო ყველაფერი. ქვემოთ მოვიყვანთ სხდომაზე გამოთქმულ რამდენიმე დასაბუთებულ აზრს და, ვფიქრობთ, მკითხველსაც არ გაუჭირდება თავად გამოიტანოს დასკვნა: „ქუთაისის „ტორპედო“, ჩემპიონატის მეორე წრეში უკეთ, მეტი მონდომებით თამაშობს ვიდრე დასაწყისში; პირველი წრის შედეგების ანალიზის შემდეგ ქუთაისელთა გუნდში მოხდა გარკვეული რეორგანიზაცია, პრაქტიკული ნაბიჯები გადაიდგა ხაერთო და სათამაშო დისციპლინის ასამაღლებლად; ჩემპიონატის შემდეგ ინდონეზიაში წარმატებით ჩატარებული ტურნეთი „ტორპედომ“ დაამტკიცა, რომ გუნდი მეორე წრის ფინიშზე უკეთ გამოიყურებოდა; მომავალში კოლექტივმა უნდა დაამტკიცოს, რომ იგი უმაღლესი ლიგის ღირსეული წარმომადგენელია“.

მაგრამ, მაინც რამ გამოიწვია საყვედურები და მითქმა-მოთქმა? სპორტკომიტეტის კოლეგიამ ამ კითხვასაც გასცა პასუხი. პირველ წრეში „ტორპედომ“ სუსტად ჩაატარა ჩემპიონატის კალენდარული მატჩები ისეთ გუნდებთანაც კი, რომლებიც წლევანდელ ჩემპიონატში არ ბრწყინავდნენ. პირველ წრეში „ტორპედომ“ სულ 13 ქულა მოაგროვა, მეორე წრის ბოლო მატჩებში კი 14-დან 12. საფეხბურთო ლოგიკით ალბათ ყველაფრის გამართლება შეიძლება, თუმცა, უმჯობესია საერთოდ არ გახდეს აუცილებელი თავის მართლება. ყველაზე უტყუარი ლოგიკაა სტაბილური თამაში, როცა გუნდის შესაძლებლობები მკაფიოდაა გამოკვეთილი. ტორპედოელთა გუნდში კი წლეულს, როგორც კოლეგიის სხდომაზე აღინიშნა, ეს არ შეიმჩნეოდა.

კოლეგიის სხდომაზე გუნდის უფროს მწვრთნელს გივი ნოდიას კონკრეტული კითხვა დაუსვეს, თუ პირადად რა შეცდომები ჰქონდა და რა უშლიდა ხელს მუშაობაში. მწვრთნელმა თვითკრიტიკულად, გულახდილად უპასუხა, რომ ჩემპიონატის პირველი წრის ბოლოს და მეორე წრის დასაწყისში გუნდში დაბალი იყო სათამაშო დისციპლინა, სათანადო დონეზე არ იდგა აღმზრდელობითი მუშაობა. ხშირი იყო დისციპლინარული დარღვევები, თავი იჩინა პირადად მისმა გამოუცდელობამაც, ვერ ახერხებდა პროფესიული დონის ამაღლებას.

კოლეგიის სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ ქუთაისის „ტორპედოში“ უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობაში შეცვალეს გუნდის ხელმძღვანელობა, ამ მნიშვნელოვან საკითხში გვერდი აუარეს თვით რესპუბლიკის სპორტკომიტეტს.

დადგინდა რომ საწვრთნელ პროცესშიც სერიოზული შეცდომები იყო — ტორპედოელებმა ფორსირებულად დაიწყეს მზადება 1985 წლის სეზონისთვის, რამაც, ცხადია, უარყოფითი გავლენა მოახდინა პირველი წრის შეხვედრებზე, არც სამედიცინო მომსახურება იდგა სათანადო დონეზე, თუმცა, გუნდს შეძენილი აქვს თანამედროვე სამედიცინო აპარატურა, ვერც სარეაბილიტაციო ცენტრის მოწყობა მოგვარდა.

ქუთაისის „ტორპედოში“ ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ნიჭიერ ფეხბურთელთა შესარჩევად, ბევრი მოთამაშე ჯერ კიდევ „პერსპექტიულ, იმედისმომცემ“ ფეხბურთელებად ითვლება, მათ კი 22-23 წელი შეუსრულდათ. დაბალ დონეზე დგას სახელექციო მუშაობა. კოლეგიაზე ისიც აღინიშნა, რომ გუნდის ირგვლივ ტრიალებენ საეჭვო პირები, რაც არასასურველი ხმების გავრცელების მიზეზი ხდება.

გუნდის უფროსი მწვრთნელი მკაცრად გააფრთხილეს, რათა რადიკალურად გარდაქმნას მუშაობა, გააძლიეროს მომთხოვნელობა თითოეული ფეხბურთელის მიმართ. უფროსმა მწვრთნელმა გუნდში არსებული ხარვეზების მიზეზი. პირველ ყოვლისა თავის საქმიანობაში უნდა ეძიოს.

ასეთი მსჯელობისა და დასკვნების შემდეგ კოლეგიის წევრთა აზრი გაიყო. ერთნი ამტკიცებდნენ, ჩვენს რესპუბლიკაში არ არსებობს იმის რეალური საფუძვლები, რომ უმაღლეს ლიგაში ორი საფეხბურთო გუნდი გვყავდეს, მაგრამ ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ იქვე გამოითქვა დასაბუთებული აზრი, რომ რესპუბლიკის საფეხბურთო პოტენციალი, მისი რეზერვი შესაძლებლობებს გვაძლევს უმაღლეს ლიგაში ორი სრულფასოვანი გუნდი გვყავდეს, ოღონდ მთელი ეს პოტენციალი და რეზერვი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. რესპუბლიკაში სადღეისოდ ასამდე საფეხბურთო გუნდია, უნდა შეიქმნას ფეხბურთელთა აღზრდის მწყობრი სისტემა, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სახელექციო მუშაობას. ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს მოზარდ ფეხბურთელთათვის ასაკის გადაკეთების მავნე პრაქტიკა, მკაცრად დაისაჯოს ყველა, ვინც ჩვენი ფეხბურთის ხვალინდელი დღის საზიანოდ ასეთ სიყალბეს სჩადის.

კოლეგიის სხდომას ესწრებოდა ჩვენი სახიქადულო მოჭადრაკე ნონა გაფრინდაშვილი. საუბარიც მისი გამოსვლით გვინდა დავამთავროთ: „ბედნიერი ვიქნებოდი, დღეს აქ „ტორპედოს“ წარმატების მოსალოცად რომ მოვსულიყავი. მე ის გულშემატკივარი არა ვარ, საყვარელ გუნდს მხარში მარტო მაშინ რომ უდგას, როცა იგი კარგად თამაშობს. სხვა საკითხია, თუ გუნდს მეტი შეუძლია, მაგრამ ფეხბურთელები მთელ შესაძლებლობებს არ ავლენენ. უამისოდ დიდი სპორტსმენი ვერ გახდები, ნამდვილ პროფესიულ დონემდე ვერ ამაღლდები. სპორტსმენებს უფლება არა აქვთ არ დააფასონ ხალხის სიყვარული და ყურადღება. ქუთაისის „ტორპედო“ არამც და არამც არ უნდა კმაყოფილდებოდეს მცირედით. მე მჯერა ამ გუნდისა“.

კოლეგიამ გამოთქვა რწმენა, რომ ქუთაისის გუნდი, მისი ხელმძღვანელობა, ქალაქის სპორტკომიტეტი, ფართო საზოგადოებრიობა, ფეხბურთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებენ, რათა „ტორპედომ“ ვაჟკაცური თამაშით, მიზანსწრაფული ერთსულოვნებით კვლავ აღიდგინოს ავტორიტეტი, ღირსეულად დაიცვას ქართული ფეხბურთის სახელო ტრადიციები.

მკითხველი — გაზეთი

გთხოვთ მოგვითხროთ ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის კევინ კიგანის შესახებ.

ზია ივანიაშვილი, საგარეჯო.
გია იოსავა, სამხედრო მოსამსახურე.

სუპერვარსკვლავი „ბითლსის“ სამშობლოდან

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ახლანდელი მფლობელის ლივერპულის „ევერტონის“ კუთვნილი სტადიონის „გუდისონ პარკის“ მეზობლად, სულ რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, მდებარეობს მეორე სარბიელი — „ენფილდ როუდი“. სწორედ აქ, „ენფილდ როუდის“ მინდორზე თამაშობს ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბი, სახელგანთქმული „ლივერპული“. ამ ძლევამოსილი კლუბის გამარჯვებებით განებივრებული მისი ქომაგების გულის მოგება საკმაოდ რთული საქმეა, ასე ვთქვათ, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მაგრამ ეს შეძლო კევინ ჯოზეფ კიგანმა, სახელგანთქმული იოჰან კრუიფის შემდეგ პირველმა ფეხბურთელმა, რომელმაც ზედიზედ ორჯერ მოიპოვა ფრანგული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ევროპის საუკეთესო მოთამაშისათვის დაწესებული პრიზი — „ოქროს ბურთი“. კიგანი წლების მანძილზე რჩებოდა „ლივერპულის“ მომთხოვნ გულშემატკივართა კერპად, თუმცა წარმოშობით ლივერპულელი არ არის. იგი დაიბადა 1951 წლის 14 თებერვალს არმთორპში, დონკასტერის მახლობლად. თამაში წმინდა პეტრეს სკოლის გუნდში დაიწყო. მას... კარში მიუჩინეს ადგილი. დიახ, მომავალმა ფორვარდმა მეკარეობით დაიწყო თავისი ბრწყინვალე კარიერა.

1967 წლის დეკემბრიდან კიგანი „სქანთორპ იუნაიტედში“ გამოდიოდა. ეს კლუბი იმ დროს ინგლისის მესამე ლიგაში ირიცხებოდა, მაგრამ წარუმატებლად თამაშობდა და მალე იძულებული გახდა მეოთხე ლიგაში გადასულიყო. კიგანი 1971 წლამდე დარჩა სქანთორპში. 1971 წლის მაისში იგი მდინარე მერსის სანაპიროებზე გადაბარგდა და „ლივერპულის“ წითელი მაისურა მოირგო. კლუბის პირველ გუნდში იგი 1971 წლის ზაფხულში გამოჩნდა, შვეციაში გამართული ტურნეს დროს. 1971-72 წლების ჩემპიონატის სასტარტო მატჩში, როდესაც „ლივერპული“ შინ, „ენფილდ როუდის“ მინდორზე, „ნოტინგემ ფორესტს“ ხვდებოდა, შედგა კიგანის დებიუტი ინგლისის ჩემპიონატის პირველ ლიგაში. ახალბედა საკმაოდ იღბლიანი აღმოჩნდა: მატჩის დაწყებიდან სულ 12 წუთი იყო გასული, როცა მან თავისი პირველი გოლი გაიტანა (ის თამაში „ლივერპულმა“ მოიგო — 3:1). კიგანმა ამ გუნდის შემადგენლობაში სამჯერ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონობა (1973, 76, 77), დაისაკუთრა ინგლისის (1974), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა (1977) და უეფა-ს (1973, 1976) თასები.

1977 წლის 25 მაისს რომის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი 57000 მაყურებლის თვალწინ „ლივერპულმა“ დაამარცხა მიონხენგლადბახის „ბორუსია“ (3:1) და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ეს გახლდათ კევინ კიგანის ბოლო მატჩი მერსისპირელთა შემადგენლობაში. ლივერპულის მენეჯერმა ბობ პეისლიმ განაცხადა:

ჩემი აზრით, ეს იყო კიგანის საუკეთესო მატჩი ჩვენს კლუბში. მით უფრო მოულოდნელი იყო ის, რომ ამ განცხადებიდან ერთი თვის შემდეგ, ერთ დროს „სქანთორპ იუნაიტედიდან“ 33000 გირვანქა სტერლინგად ნაყიდი ყველასათვის უცნობი თავდამსხმელი, რომელიც ექვსი წლის მანძილზე მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავად იქცა, 500000 გირვანქად დაუთმეს დასავლეთ გერმანიის „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ (თუმცა ამ გარიგებამ ხელი შეუწყო დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის კიდევ ერთი „კაშკაშა ვარსკვლავის“ კენი დალგლიშის გამობრწყინებას). როდესაც ჟურნალისტებმა კიგანს ჰკითხეს, გულს ხომ არ გწყვეტთ „ლივერპულთან“ განშორებაო, მან უპასუხა: „ლივერპულში“ ჩემი დებიუტის დღეს მე გოლი გავიტანე, გული მხოლოდ იმაზე მწყდება, რომ ვერ მოვახერხე ბოლო მატჩშიც ამელო მეტოქის კარი“.

„ჰამბურგერ შპორტფერაინში“ თამაშის პერიოდში კევინ კიგანი ორჯერ აღიარეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად (1978 და 1979 წლებში). ინგლისის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა რონ გრინვუდმა ჟურნალისტებს უთხრა: „ვფიქრობ, დიდი ფეხბურთიდან კრუიფის წასვლის შემდეგ კიგანი საუკეთესო ფეხბურთელია ევროპაში“. ამ პერიოდში კიგანი ბრწყინვალედ თამაშობდა და მართლაც საუკეთესო იყო „ძველ სამყაროში“. ამაში დარწმუნდნენ თბილისელი ფეხბურთის მოყვარულებიც, რომელთაც საშუალება მიეცათ 1979 წლის შემოდგომაზე „დინამოს“ სტადიონის მინდორზე ენახათ ეს ფეხბურთელი და უშუალოდ ტრიბუნებიდან დამტკბარიყვნენ მისი უზადო ოსტატობით.

1980 წლის ზაფხულში კიგანი სამშობლოში დაბრუნდა. შედარებით ნაკლებად ცნობილ კლუბ „საუთჰემპტონს“ მასთან კონტრაქტის გაფორმება 400000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. მართალია, კიგანმა ვერ შეძლო ეს კლუბი „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ ან, მით უმეტეს, „ლივერპულის“ სიმაღლეზე აეყვანა, მაგრამ მისი ოსტატობა „საუთჰემპტონის“ შედეგებს მაინც დაეტყო. თვით 31 წლის კიგანმა კი 1981-82 წლების სეზონში 28 გოლით ინგლისის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის სახელი მოიპოვა.

იმავე წელიწადს კიგანმა კიდევ ერთხელ გამოიცვალა კლუბი. ამჯერად მეორე ლიგის წარმომადგენელ „ნიუკასლ იუნაიტედში“ გადავიდა. ნიუკასლი დიდ ფეხბურთში მისი „უკანასკნელი ნავსაყუდელი“ აღმოჩნდა. 1983-84 წლების სეზონის დამთავრების შემდეგ კევინ კიგანი გამოეთხოვა კლუბს და დიდ ფეხბურთს. კიგანმა სულ ორი სეზონი ითამაშა „ნიუკასლ იუნაიტედში“ (რომლის ხელმძღვანელობამაც იგი 100 000 გირვანქა სტერლინგად იყიდა) და გუნდი ინგლისის პირველ ლიგაში გადაიყვანა. თავის ბოლო, მე-500 მატჩში (ინგლისის ჩემპიონატებში) კიგანმა ასევე ბოლო, 171-ე გოლი გაიტანა. ამას დავუმატოთ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებულ 63 შეხვედრაში გატანილი 21 გოლი, გუნდის ლიდერის მძიმე ტვირთი და გასაგები გახდება ინგლისელი ჟურნალისტის ტონი ფლუდის მიერ კიგანის შესახებ ნათქვამი სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობა: „იგი იყო ყველაზე უკეთესი ბრიტანელი ფეხბურთელი, რომელსაც ოდესმე უთამაშია ჩვენს კონტინენტზე, და მთავარი გმირი ყველა გუნდში, სადაც კი გამოსულა“!

ზურაბ ფოცხვერია.

რას გადაწყვეტს ბილარდო?

როგორც არგენტინის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ განაცხადა, იგი უკმაყოფილოა უცხოეთში მოთამაშე არგენტინელ ფეხბურთელთა მომზადების დონით. მისი აზრით, ახლა მხოლოდ ეროვნული ნაკრების კაპიტანი დიეგო მარადონაა კარგ სპორტულ ფორმაში და ფაქტიურად ერთადერთია, ვისი იმედიც შეიძლება ჰქონდეს. დანარჩენებს, ბარბასს, პასკულის (ორივე იტალიის „ლეჩე“), დიასს (იტალიის „აველინო“), ბერტონის (იტალიის „ნაპოლი“), ვალდანოს (ესპანეთის „რეალი“) ნაკრებში ადგილის მოსაპოვებლად დიდი შრომა დასჭირდებათ. პასარელასა (იტალიის „ფიორენტინა“) და ბილარდოს შორის კი ამ ბოლო ხანს ურთიერთობა მეტად დაიძაბა. მართალია, მწვრთნელიცა და მოთამაშეც თავს არიდებენ პირდაპირ კონფლიქტს, მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, პასარელას მექსიკაში გამგზავრება საეჭვოა. ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა ბილარდოს ერთ-ერთმა ბოლო ინტერვიუმ: — უნდა ითქვას, რომ ჩვენი გუნდის პრობლემები სრულებით არ ეხება დაცვის ხაზს, — განუცხადა მწვრთნელმა ჟურნალისტებს.

„ეიზელის“ ტრაგედიის ექო

ბელგიის დედაქალაქის სტადიონზე მომხდარ უბედურებას იტალიის ბევრ ქალაქში, მეტი რომ არა ვთქვათ, უსიამოვნო ინციდენტებით პასუხობენ. მართალია, იტალიელი ხულიგნების „შურისძიებას“ ჯერჯერობით მსხვერპლი არ მოჰყოლია, მაგრამ მათი გამოხდომები სულ უფრო სახიფათო ხდება. აი, რას წერენ იტალიური გაზეთები თანამემამულეთა თავაშვებული საქციელის შესახებ: „თითქოს ბრიუსელის სტადიონზე მომხდარი ტრაგედია არ კმაროდეს, ზოგიერთ არამზადას და მოხულიგნო ყმაწვილს თავი აუშვია და ჩვენს ქვეყანაში არსებული ინგლისური დაწესებულებებისა და საზოგადოებების წინააღმდეგ ათასგვარ სისაძაგლეს სჩადის. ბოლცანოს ერთ-ერთ სკოლაში ერთი მოსწავლე მხეცურად სცემეს მხოლოდ იმიტომ, რომ დედა ინგლისელი ჰყოლია. ეს ამბავი კი ტურინში მოხდა: ღამით თორმეტამდე ახალგაზრდამ, რომელთა ვინაობა უცნობი დარჩა, მოახერხა ბრიტანული სავაჭრო სააგენტოს ცენტრის შენობაში შესვლა. რაც კი ხელში მოხვდათ, ყველაფერი დალეწეს და ნაცარტუტად აქციეს. იმავე ტურინში ხულიგნები შეიჭრნენ „ბრითიშ გავერნმენტ თრეიდ ოფისის“, შენობაში, დაამტვრიეს ავეჯი. წასვლის წინ კი კედელზე დატოვეს წარწერები: „ინგლისელებო, ცხოველები ხართ!“ ხულიგნებმა ისევ და ისევ ტურინში იერიში მიიტანეს ბრიტანეთის საჰაერო გზების სააგენტოზე. შენობა დაარბიეს, დაამტვრიეს, წასვლისას კი კედლებზე წააწერეს: „ინგლისელებო, ამოგხოცავთ!“ ქალაქ ბარიშიც დაკავებულია ორი თექვსმეტი წლის მოსწავლე, რომლებმაც ქალაქის კერძო ინგლისური სკოლის შენობაში „გამოიჩინეს თავი“.

ლივერპულიდან მოვიდა ცნობა, რომ ამ ქალაქის მმართველი წრეები აპირებენ ტურინში გამოგზავნონ დიდი დელეგაცია, რომელშიც შევლენ ინგლისის ყველა პარტიის, ანგლიკანური ეკლესიის, საფეხბურთო წრეების წარმომადგენლები. ლივერპულის საფეხბურთო ასოციაციის წარმომადგენელთა მეორე ჯგუფი პიემონტის ოლქის ქალაქებს შემოივლის. ყველაფერი ეს კეთდება იმ მიზნით, რომ ამ ორი ქალაქის — ტურინისა და ლივერპულის საფეხბურთო ასოციაციებს შორის პატივისცემა და ნორმალური ურთიერთობა აღდგეს. ინგლისის ტურისტულმა ფირმებმა — როგორც კერძომ, ისე სახელმწიფოსამ — უარყვეს ხმები, თითქოს ინგლისელ ტურისტებს უარი ეთქვათ იტალიაში გამგზავრებაზე შურისძიების შიშით.

ამას წინათ გაზეთმა „ტაიმსმა“ გამოაქვეყნა ბრიუსელის ტრაგედიის ირგვლივ ინგლისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები. ამ შედეგების მიხედვით, სამიდან ორი ინგლისელი თვლის, რომ სტადიონზე მომხდარი უბედურების გამო ნაწილობრივ იტალიელებიც აგებენ პასუხს. ამ აზრისაა გამოკითხულთა 67 პროცენტი. 27 პროცენტი მთელ პასუხისმგებლობას ბრიტანელ გულშემატკივრებს აკისრებს. 24 პროცენტი თვლის, რომ „იუვენტუსიც“ იმსახურებდა ევროპის სტადიონებიდან განდევნას, ხოლო 25 პროცენტის აზრით ამგვარი სასჯელი იტალიის ყველა საფეხბურთო კლუბზე უნდა გავრცელებულიყო. 68 პროცენტი მხარს უჭერს ინგლისის კლუბების ერთი წლით ვადით დისკვალიფიკაციას ევროპის შეჯიბრებებში. და ბოლოს, გამოკითხულთა 59 პროცენტი მთლიანად ეთანხმება უეფა-ს მიერ გამოტანილ სანქციებს.

იტალიურიდან თარგმნა
გია ბუხნიკაშვილმა.

„მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზზე

შინაც გაიმარჯვა

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზის მაძიებლებმა იმ დღეს კვლავ კოხტა I-ს მიაშურეს. აქ მათ პირადი პირველობისთვის უნდა ებრძოლათ სპეციალურ სლალომში. ფავორიტებმა ამჯერადაც ისახელეს თავი — მერი კოზანაშვილი (1.40,06) და გიორგი ხაზარაძე (1.29,52) კვლავ უძლიერესნი აღმოჩნდნენ. ქალთა შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ მესტიელი ეკა უშხვანი (1.44,87) და თბილისელი ლეილა ზერაკიძე (1.44,97), ვაჟთა შორის ბაკურიანელმა სპორტსმენებმა რამაზ ჯიჩოევმა (1.29,54) და ნიკოლოზ კოზანაშვილმა (1.35,49) გაიმარჯვეს.

აქ გამარჯვებული დინამოელი სამთომოთხილამურენი ბაკურიანის უკანასკნელი სტარტიდან პირდაპირ სლავსკოეში (უკრაინა) გაემგზავრნენ, სადაც „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაში მიიღებენ მონაწილეობას.

ბევრი მუშაობა დასჭირდათ ორგანიზატორებს იმისათვის, რომ შეჯიბრებისათვის მოემზადებინათ წინადღით დათოვლილი 40-მეტრიანი ტრამპლინი.

ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ბრძოლა პირველობისათვის ამჯერადაც ჩვენი რესპუბლიკის სამ წამყვან მფრინავ მოთხილამურეს — კახა წაქაძეს, ელგუჯა ორჯონიკიძესა და იბრაჰიმ გობოზოვს შორის წარიმართებოდა. ასეც მოხდა. პირველი ნახტომი ყველაზე უკეთ გობოზოვმა შეასრულა — 50,5 მეტრი. ორჯონიკიძე 48 მეტრზე გადახტა, წაქაძემ კი კიდევ ორი მეტრით ნაკლები იფრინა.

ხტომების მეორე სერიაში თავი ისახელა ორჯონიკიძემ. წალვერელი სპორტსმენის შედეგია 50 მეტრი, მისმა მთავარმა მეტოქეებმა კი თითო მეტრით ნაკლები აჩვენეს.

ამრიგად, ორი ნახტომის ჯამში ამას წინათ ურალის სამი ტრამპლინის ტურნეში გამარჯვებულმა, ბაკურიანელმა სპორტის ოსტატმა (ეს წოდება მან სწორედ ურალში მოიპოვა) იბრაჰიმ გობოზოვმა 240,3 ქულა მოაგროვა და „მოლოდიოჟ გრუზიის" საპატიო თასი დაისაკუთრა. 230,7 ქულით მეორე ადგილზე გავიდა სპორტის ოსტატი ელგუჯა ორჯონიკიძე. მესამე პრიზიორმა კი — ოსტატობის კანდიდატმა კახა წაქაძემ 226,0 ქულა მიიღო. აღსანიშნავია, რომ სამივე სპორტსმენი დინამოელია.

არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ 13 წლის ნორჩი ბაკურიანელი მხტომელები ოთარ სანაკოევი, ალან თიბილოვი, ჯემ[illegible] კოზანაშვილი, სოსო თევაური (ყველა — „კოლმეურნე"), რომლებსაც მწვრთნელი ბექან ქუმარიტაშვილი ავარჯიშებს. ისინი ნიჭიერ, იმედის მომცემ სპორტსმენებად გვესახებიან.

სულ მალე, 4 და 5 იანვარს ჩვენი საქართველოს მფრინავი მოთხილამურენი კვლავ სასპარეზოდ შეიკრიბებიან — ბაკურიანში გაიმართება შეჯიბრება 70 და 40-მეტრიანი ტრამპლინებიდან ხტომაში გაზეთების „ლელოს" და „ბორჯომის" ტრადიციულ პრიზებზე.

ხუთდღიანი შეჯიბრება სეზონის გახსნის პრიზზე დამთავრდა. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ „მოლოდიოჟ გრუზიის" სიგელები და პრიზები.

მაინც რა გვიჩვენა მან ზამთრის ამ ახალ სპორტულ სეზონში, რომელიც, როგორც ცნობილია, სასპარტაკიადოა — 1986 წელს ხომ ჯერ რესპუბლიკის, მერე კი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა გაიმართება.

ჩვენს მხტომელებს ვერ დავემდურებით (ვერც პირველ ნომრებსა და ვერც მათ უახლოეს „მემკვიდრეებს"), მაგრამ ერთობ არასახარბიელო სურათი გადაგვეშალა სამთო-სათხილამურო სპორტში, განსაკუთრებით კი რბოლაში. მართალია, ბაკურიანში გამართულ სამთომოთხილამურეთა ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღო ჩვენმა ლიდერმა, სპორტის ოსტატმა გია ორჯონიკიძემ (ამ დღეებში ალმა-ათაში ასპარეზობს საკავშირო ჩემპიონატზე), მაგრამ მარტო ორჯონიკიძის იმედით ხომ ვერ ვიქნებით? სად არიან მეორე, მესამე ნომრები, სად არიან ნიჭიერი სამთომოთხილამურე ქალები, რომელთა მომზადების დონე უპასუხებდა სპარტაკიადის მოთხოვნებს.

რაც შეეხება მოთხილამურე მრბოლელებს, ისინი კიდევ უფრო ჩამორჩებიან. ეს აშკარად დაგვანახა განვლილმა შეჯიბრებამ: გამარჯვებულებიც კი (ბორჯომი, ბოგდანოვკა, ამბროლაური) ვერაფრით დაიკვეხნიან. აქვე ვიტყვით, რომ მესტიელებმა ამ სახეობაში კიდევ უფრო დათმეს პოზიციები, ხოლო დუშეთის გუნდი შეჯიბრებაზე საერთოდ არ გამოცხადებულა. მიზეზი? ჩვენს თოვლიან რეგიონებში ნაკლებად ზრუნავენ თხილამურებით რბოლის დანერგვა-განვითარებაზე, ამიტომაა მეტოქეობას რომ ვერ ვუწევთ სხვა რესპუბლიკების გუნდებს.

ოთარ ოთარაშვილი,
(„ლელოს" სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

იური გალდავას ფოტო.

პროფილაქტიკის მიზნით

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ხელმძღვანელი საბჭოს განცხადებით, 1986 წლიდან ზოგიერთ საერთაშორისო ტურნირში მკაცრი სადოპინგო კონტროლი დაწესდება (უიმბლდონის ტურნირზე, საფრანგეთის, აშშ-ისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატებში).

ამ წინადადებას სხვებზე ადრე ამერიკელი ჩოგბურთელი ჯონ მაკინროუ გამოეხმაურა: „ჩემის აზრით, — განაცხადა მან, — ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს ჩოგბურთის შემდგომ განვითარებას და ეჭვის ბურუსსაც გაფანტავს".

ჩვენი სტუმარი

ქეთევან არახამია:
„რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ"

იუგოსლავიიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ ქეთევანი რედაქციაში გვეწვია და დაწვრილებით გვიამბო იუგოსლავიაში გამართულ სპორტულ ბრძოლაზე. გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონის ნაამბობს.

— იუგოსლავიის ქალაქი — აგარაკი დობრნა ცნობილია თავისი მინერალური წყლებით. მდებარეობით ძალიან ჰგავს ჩვენს ბორჯომს. მასპინძლები გულთბილად შეგვხვდნენ. ყველანი კეთილმოწყობილ პანსიონატებში დაგვაბინავეს. სპორტულ სარბიელად კი ვრცელი დარბაზი გამოგვიყვეს.

სასპარეზოდ 22 ნორჩი მოჭადრაკე ჩამოვიდა 12 ქვეყნიდან. შეჯიბრების გახსნის საზეიმო ცერემონიალს დაესწრო თვით ფიდე-ს პრეზიდენტი ფლორენსიო კამპომანესი და ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატი ალექსანდრე მატჩინოვიჩი. აქ გამოგვიცხადეს, რომ პირველობა შვეიცარიული სისტემით, 13 ტურად ჩატარდებოდა და ვითამაშებდით ახალი, 6-საათიანი რეგლამენტით, ესე იგი შეუსვენებლივ, დროის ორი კონტროლით. ამ ამბავმა ყველანი შეგვაფიქრიანა. გვეყოფოდა კი ძალა? ჩვენი ეჭვი გამართლდა: გოგონები ისე დაიქანცნენ, რომ უკვე შუა ტურნირში ბევრს უჭირდა თამაში.

თითქმის ყველა მონაწილეს ახლდა მწვრთნელი, მე წამყვა მოსკოველი ოსტატი ვლადიმერ ლეპიოშკინი — კარგი თეორეტიკოსი და ერთგული გულშემატკივარი.

როცა მონაწილეთა ვინაობას გავეცანით თვალი; ცხადი გახდა, რომ ჩემი მთავარი მეტოქეები იქნებოდნენ იუგოსლაველი დები ალისა და მირიანა მარიჩები, უნგრელი ილდიკო მადლი და ინგლისელი სუზან უოკერი.

მირიანამ დობრნაში ჩამოსვლამდე გაიმარჯვა 16 წლამდე გოგონათა მსოფლიო პირველობაში, რომელიც ისრაელში გაიმართა. მის დას ალისას ფიდე-ს ოსტატის წოდება აქვს. საერთაშორისო ოსტატები არიან მადლი და უოკერი. მადლი 16 წლამდე გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონიც იყო და სალონიკის ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილეც. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რას მივაღწევდი მათთან ბრძოლაში.

მოხდა ისე, რომ წილისყრამ მთავარი მეტოქეები სტარტზე შეგვახვედრა ერთმანეთს. პირველ ტურში მოვუგე ალისა მარიჩს, მეორეში — მის თანამემამულეს სლავიცა მარკოვს, მესამეში — მირიანა მარიჩს, მეოთხეში — ილდიკო მადლს. ვთამაშობდი მონდომებით, შეუპოვრად. ვცდილობდი მაქსიმალურად გამომეყენებინა მოგების შანსი. კრიტიკულ მდგომარეობაშიც ბევრჯერ აღმოვჩნდი, მაგალითად, ბულგარელ ვერა პეტჩევასთან პოზიცია გამირთულდა, მაგრამ ჩემმა მეტოქემ ვერ ისარგებლა უპირატესობით, უარესიც — წააგო. პარტიას პარტიაზე ვიგებდი. ზედიზედ 12 მოგების შემდეგ უკვე ოთხქულით ვუსწრებდი ალისა მარიჩს. სიმართლე გითხრათ, ძალიან მინდოდა მეცამეტე პარტიაც მომეგო, მაგრამ ჰოლანდიელი ანა ლისოვსკაია ისეთი ყოჩაღი აღმოჩნდა, მასთან ყაიმს დავჯერდი.

რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რომ ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. პარტიებიც კარგი მქონდა. დავრწმუნდი, აი, რაში: თუ გსურს საპასუხისმგებლო ტურნირში წარმატებას მიაღწიო, გარდა იმისა, რომ უნდა გქონდეს თეორიული ცოდნა და ბრძოლის ჟინი, ფიზიკურადაც ჯანმრთელი უნდა იყო.

მოხიბლული ვარ ჩემი მეტოქეებით. ალისა მარიჩს (8,5), მირიანა მარიჩს, ილდიკო მადლს, რუმინელ ქრისტინა ბადულესკუს და დასავლეთგერმანელ ანი დაგრიუნს, რომლებმაც 8-8 ქულა მოაგროვეს, უთუოდ დიდი მომავალი აქვთ, მათ ძალიან უყვართ ჭადრაკი. უნდა გენახათ როგორი თავდადებით იბრძოდნენ.

შეჯიბრების დახურვის ცერემონიალზე ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა ავსტრალიელმა იუნკვირტმა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი და ბროლის თასი გადმომცა.

საუბარი ჩაიწერა
თენგიზ გიორგაძემ.

ინფორმაცია

რომი. იტალიის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართა ადგილობრივი „რომასა" და მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა ამხანაგური საერთაშორისო შეხვედრა. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. პირველი ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა იტალიელმა პრუცომ, ანგარიში გაათანაბრა პივცოვმა.

გენუა. იტალიის ამ ქალაქში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჯენოვა" და ოდესის „ჩერნომორეცი". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ბურთი გაიტანა ფაჩენდამ.

ოტავა. სსრ კავშირის ჰოკეისტთა კლუბმა ცსკა-მ საზღვარგარეთული ტურნეს მესამე მატჩი „კვებეკ ნორდიკსთან" წააგო ანგარიშით 1:5 (0:2, 1:1, 0:2). გამარჯვებულთაგან შაიბები გაიტანეს: გულემ (3), ანდერსონმა და ეშტონმა. ცსკა-დან — მაკაროვმა.

კალგარი. პირველი ამხანაგური შეხვედრა კანადაში მოსკოვის დინამოელებმაც დათმეს. ისინი „კალგარი ფლეიმზთან" შეხვედრაში დამარცხდნენ — 3:4 (1:2, 1:0, 1:2). „დინამო" სამ შეხვედრას აშშ-ის ქალაქებში: პიტსბურგში, ბოსტონსა და ბუფალოში ჩაატარებს.

პეკინი. აქ გაიმართა ფრენბურთელ ქალთა გუნდების საინტერესო მატჩი. ჩინეთის ეროვნულ გუნდს წინ აღუდგა მსოფლიოს ნაკრები, რომელიც ბრაზილიის, გდრ-ის, იტალიის, კუბის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული. საინტერესო ბრძოლა ჩინელ ფრენბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1 (15:6, 11:15, 15:4, 15:3).

ბროშურა ხალხურ თამაშებზე

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ" კიდევ ერთი საინტერესო ბროშურა მიაწოდა მკითხველს — „ხალხური მოძრავი თამაშები აღზრდის სამსახურში", რომლის ავტორია პროფესორი ვასილ ელაშვილი.

აღიარებული მეცნიერის ეს ნაშრომი ფართო მკითხველს აცნობს სსრ კავშირის ხალხთა მოძრავ თამაშებს, ბროშურაში განსაკუთრებით ვრცლადაა აღწერილი ქართველთა მოძრავი თამაშები. ავტორი ჯეროვან პატივს მიაგებს ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩვენი ეროვნული საუნჯის შეგროვებაში, ვინც შთამომავლობას გააცნო შორეული წარსულიდან ხალხში შემონახული თამაშები. ბევრი მათგანი დღეს, როგორც აქტიური დასვენების კარგი საშუალება, წარმატებით გამოიყენება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დიდი დასვენების დროს, ბევრგან კი ამ თამაშებს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზეც იყენებენ მასწავლებლები.

ხალხური მოძრავი
თამაშები აღზრდის
სამსახურში

საყურადღებოა ბროშურაში მოცემული მკვლევარ ე. პოკროვსკის ერთი განმარტება. ეყრდნობა რა მე-12 საუკუნის მემატიანეთა მასალებს, პოკროვსკი წერს: „ქართველები ბრძოლის წინ ლელობურთს თამაშობდნენ, რათა ფსიქოლოგიურად განეწყოთ ჯარი. მრავლისმეტყველია აგრეთვე თბილისის რამდენიმე უბნის სახელწოდებები: საბურთალო, ასპარეზი „ყაბახი". ეხება რა ქართველთა თამაშებს, იგი იქვე დასძენს: „ამ თამაშებმა დასაბამი აიღო ხალხში, რომელსაც უყვარს სისწრაფე, ცოცხალი, ხალისიანი მოქმედება".

ბროშურაში აღწერილია რამდენიმე თამაში, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია და შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდაში.

„პრენსა ლატინას" ანკეტით

კუბის სააგენტო „პრენსა ლატინას" ტრადიციული ანკეტით ლათინური ამერიკის № 1 სპორტსმენად 1985 წლის სეზონის მიხედვით აღიარებულია მსოფლიოს ჩემპიონი, მოჭიდავე რაულ კასკარეტი.

ლათინური ამერიკის საუკეთესო გუნდად მიჩნეულია ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრები.

◆

„სპორტლოტო"

გუშინწინ მოსკოვში შედგა მიმდინარე წლის „სპორტლოტოს" ბოლო, 52-ე ტირაჟი.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 11 (ფრენბურთი), 18 (მძლეოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 39 (მთამსვლელობა), 42 (წყალსათხილამურო სპორტი), 48 (ჭადრაკი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 16 (ცხენოსნობა), 17 (ციგურაობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 29 (სასტენდო სროლა).

ეკრანზე
და
ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 31 **დეკემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** სპორტული წლის შედეგები — **17.30 (1);** საერთაშორისო შეჯიბრება ფრენბურთში: ჩინეთის ნაკრები — მსოფლიო ნაკრები — **20.20 (2).**

საკავშირო რადიო. 31 დეკემბერი. დილის ტანვარჯიში — **6.15** და **7.15.**

საქართველოს ტელევიზია. 31 დეკემბერი. „სამორინე" — საჭადრაკო ჟურნალი — **12.00.**

საქართველოს რადიო. 31 დეკემბერი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — **17.35.**

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 08970